სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

02 **დეკემბერი, 2025 წელი**

ბრძანება №01-02/217

ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასების ფორმების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების **აკრედიტაციის დებულების** (მათ შორის №6 დანართი - **სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის (**დამტკიცებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №141/ნ ბრძანებით), „ბსუ–ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/129 დადგენილების, ,,ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №06-01/16 დადგენილების, ,,ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №06-01/17 დადგენილების, ,,ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №06-01/18 დადგენილების, ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №06-01/19 დადგენილების, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის (№1631244, 18/11/2025 წ.) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს დოქტორანტის **სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასების პროცესში გამოსაყენებელი ფორმები,** თანდართული რედაქციებით:

1.1. წინამდებარე ბრძანების **№1 დანართი** - ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის სადისერტაციო კომისიის წევრის მიერ ინდივიდუალური შეფასების ფორმა;

1.2. წინამდებარე ბრძანების **№2 დანართი** - ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის ინდივიდუალური შეფასების ფორმის ბსუ-ს სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ მიღების დადასტურების ფორმა;

1.3. წინამდებარე ბრძანების **№3 დანართი** - ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შემაჯამებელი შეფასების ოქმი.

2. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** ,,ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასებისა და ხმის დამთვლელი კომისიის ოქმის ფორმების დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 11 დეკემბრის №01-08/177 ბრძანება.**
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,რექტორის ბრძანებები“; ,,საუნივერსიტეტო ნორმატიულ აქტები“).
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს (დეკანებს, დეკანის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსებს, დარგობრივი დეპარტამენტების

ხელმძღვანელებს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეებს და მდივნებს), სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**

,,ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასების ფორმების დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 02 დეკემბრის №01-02/217 ბრძანების

დანართი № 1

ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის სადისერტაციო კომისიის წევრის მიერ ინდივიდუალური შეფასების ფორმა

სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღი ----------
ბსუ-ს დოქტორანტის სახელი, გვარი - ----------
ბსუ-ს ფაკულტეტი ----------
ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ----------
სადისერტაციო ნაშრომის სათაური ----------

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ----------
დოქტორანტის სამეცნიერო თანახელმძღვანელი (არსებობის შემთხვევაში) ----------

სადისერტაციო კომისიის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება (N -----, --/--/----წ)

სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასების მეთოდოლოგია:

სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვა სრულდება სადისერტაციო კომისიის მიერ მისი შეფასებით. ბსუ-ს დოქტორანტურის დებულებისა და შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების თანახმად, <u>შეფასების კრიტერიუმებია:</u> ა) საკვლევი თემის აქტუალურობა; ბ) გამოყენებული კვლევის მეთოდების რელევანტურობა; გ) მეცნიერული სიახლე; დ) დარგის განვითარებაში დოქტორანტის მიერ შეტანილი წვლილი; ე) კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობების დასაბუთება.
სადიერტაციო კომისიის მიერ სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასება ხორციელდება <u>ფარული კენჭისყრით,</u> ხუთი კრიტერიუმის მიხედვით, თითოეული, განსხვავებული კოეფიციენტით.
შეფასების პროცედურა მოიცავს:

1. კომისიის თითოეული წევრი დამოუკიდებლად, ფარულად ახორციელებს სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასებას - თითოეული კრიტერიუმისთვის რუბრიკის შესაბამისად ირჩევს ქულას 1-დან 5-მდე სკალაზე და აფიქსირებს მას შესაბამის გრაფაში;
2. შერჩეული ქულა მრავლდება შეფასების კრიტერიუმის კოეფიციენტზე და მიღებული ნამრავლი ფიქსირდება კრიტერიუმის ბოლო გრაფაში (შემდეგში - **შეწონილი ქულა)** შერჩეული ქულა);
3. შეჯამების ცხრილში იწერება ყველა კრიტერიუმის რუბრიკის ქულა და შესაბამისი **შეწონილი** ქულა;
4. ხუთივე კრიტერიუმის შეწონილი ქულების ჯამი წარმოადგენს თითოეული შემფასებლის მიერ მინიჭებულ საბოლოო შეფასებას, 100-ქულიანი სისტემით;
5. ფარული კენჭისყრის შემდეგ ხმის დამთვლელი კომისია აგროვებს სადისერტაციო კომისიის ყველა წევრის ინდივიდუალურ შეფასებას;
6. ხმის დამთვლელი კომისია ითვლის ყველა შემფასებლის მიერ მინიჭებული საბოლოო ქულების საშუალო არითმეტიკულს;
7. მიღებული საშუალო არითმეტიკული ქულის შესაბამისად განისაზღვრება შემაჯამებელი შეფასება

1. საკვლევი თემის აქტუალურობა (კოეფიციენტი: 3)

შესარჩევი ქულა	**აღწერა**
5	თემა წარმოადგენს დარგის ფუნდამენტურ გამოწვევას, აქვს გლობალური მნიშვნელობა, პასუხობს თანამედროვე სამეცნიერო დისკურსის წამყვან საკითხებს, ემყარება უახლეს მონაცემებს და ცხადად წარმოაჩენს პრობლემის მრავალგანზომილებიან ხასიათს
4	თემა მაღალი აქტუალურობით ხასიათდება, აღწერს მნიშვნელოვან თეორიულ ან პრაქტიკულ პრობლემებს, დასაბუთებულია მისი კვლევის საჭიროება, თემის შესწავლის საფუძველზე მიღებული შედეგების მნიშვნელობა დარგის განვითარებისთვის
3	თემა აქტუალურია, ნათლად არის ჩამოყალიბებული კვლევის საკითხი, ასახავს დარგის განვითარების მიმდინარე ტენდენციებს, თუმცა არ შეიცავს მნიშვნელოვან ინოვაციურ მიდგომას პრობლემის მიმართ
2	თემის აქტუალურობა ზოგადად დასაბუთებულია, მაგრამ შეზღუდულია მისი მნიშვნელობა დარგისთვის, ნაკლებად ჩანს კავშირი თანამედროვე სამეცნიერო დისკურსის ძირითად პრობლემატიკასთან, კვლევის საკითხი არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი
1	თემის აქტუალურობა სუსტად ან საერთოდ არ არის დასაბუთებული, შეუსაბამოა დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციებთან, კვლევის საკითხი ბუნდოვნად არის ფორმულირებული, ვერ ჩანს კავშირი სამეცნიერო დისკურსის პრობლემებთან
----- (შერჩეული ქულა) **× 3** (კოეფიციენტი) = _____ **(შეწონილი ქულა)**	

2. გამოყენებული კვლევის მეთოდების რელევანტურობა (კოეფიციენტი: 5)

შესარჩევი ქულა	**აღწერა**
5	მეთოდოლოგია სრულყოფილად შეესაბამება კვლევის მიზნებს, გამოყენებულია მეთოდების ოპტიმალური კომბინაცია, მეთოდები დასაბუთებულია სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, ჩანს ინოვაციური მიდგომები, დეტალურად არის აღწერილი მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცედურები, კვლევა აკმაყოფილებს სანდოობისა და ვალიდურობის მაღალ სტანდარტებს
4	მეთოდოლოგია ადეკვატურია და კარგად შეესაბამება კვლევის მიზნებს, მეთოდები მრავალფეროვანი და კომპლემენტარულია, ნათლად არის აღწერილი კვლევის დიზაინი, პროცედურები და ინსტრუმენტები, გამოყენებულია მონაცემთა ტრიანგულაციის პრინციპი
3	მეთოდოლოგია ძირითადად შეესაბამება კვლევის მიზნებს, გამოყენებული მეთოდები სტანდარტულია დარგისთვის, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცედურები აღწერილია, მაგრამ ნაკლებად დეტალურად, კვლევის დიზაინს აქვს გარკვეული შეზღუდვები
2	მეთოდოლოგიის შესაბამისობა კვლევის მიზნებთან ნაწილობრივია, მეთოდების შერჩევა არ არის საკმარისად დასაბუთებული, კვლევის დიზაინი შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცედურები არასრულად არის აღწერილი
1	მეთოდოლოგია ვერ პასუხობს კვლევის მიზნებს, მეთოდების შერჩევა არადეკვატურია, კვლევის დიზაინი მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება, პროცედურები ბუნდოვნად ან საერთოდ არ არის აღწერილი, კვლევას აკლია სანდოობა და ვალიდურობა

----- (შერჩეული ქულა) × **5** (კოეფიციენტი) = _____ **(შეწონილი ქულა)**

3. მეცნიერული სიახლე (კოეფიციენტი: 6)

შესარჩევი ქულა	**აღწერა**
5	ნაშრომი წარმოადგენს ფუნდამენტურ სიახლეს დარგში, შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი არსებული თეორიული ცოდნის განვითარებაში, შემოთავაზებულია ახალი კონცეფციები, მოდელები ან თეორიული ჩარჩო, შედეგები საშუალებას იძლევა არსებითად გადაიხედოს დარგში არსებული წარმოდგენები
4	ნაშრომი შეიცავს მნიშვნელოვან სიახლეს, ავსებს სამეცნიერო ცოდნის არსებულ ხარვეზებს, აფართოებს ან აღრმავებს არსებულ თეორიულ პერსპექტივებს, გვთავაზობს ახლებურ ინტერპრეტაციას ან ახალ მტკიცებულებებს დარგის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ
3	ნაშრომი შეიცავს გარკვეულ სიახლეს, ავითარებს არსებულ იდეებს, გვთავაზობს საკითხის განხილვას განსხვავებული კუთხით, ადგილობრივ კონტექსტში ამოწმებს სხვა ქვეყნებში დადასტურებულ იდეებს, აზუსტებს ან ახდენს არსებული თეორიული მოდელების ადაპტაციას
2	ნაშრომის სიახლე შეზღუდულია, ძირითადად მეორდება უკვე არსებული კვლევების მიგნებები, მცირედ ავითარებს არსებულ ცოდნას, ახალი ემპირიული მონაცემები შეზღუდული მნიშვნელობისაა
1	ნაშრომს არ გააჩნია მეცნიერული სიახლე, მხოლოდ იმეორებს უკვე კარგად ცნობილ იდეებს, არ გვთავაზობს ახალ ხედვას ან პერსპექტივას, კვლევის შედეგები ტრივიალურია
----- (შერჩეული ქულა) × **6** (კოეფიციენტი) = _____ **(შეწონილი ქულა)**	

4. დარგის განვითარებაში დოქტორანტის მიერ შეტანილი წვლილი (კოეფიციენტი: 4)

შესარჩევი ქულა	**აღწერა**
5	დოქტორანტის წვლილი დარგის განვითარებაში ფუნდამენტურია, კვლევას აქვს მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე პუბლიკაციების პოტენციალი, წარმოადგენს დარგის ახალი მიმართულების განვითარების საფუძველს, შედეგები ცვლის დარგში არსებულ პარადიგმებს და ქმნის ახალ კვლევით პერსპექტივებს
4	დოქტორანტის წვლილი მნიშვნელოვანია დარგის განვითარებისთვის, შეაქვს წვლილი მეთოდოლოგიური მიდგომების სრულყოფაში, აფართოებს დარგის თეორიულ და ემპირიულ ბაზას, შედეგებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ დარგის შემდგომ კვლევებზე
3	დოქტორანტის წვლილი ჩანს დარგის განვითარებაში, შეაქვს წვლილი ემპირიულ ცოდნაში, აფართოებს არსებულ ცოდნას კონკრეტულ საკითხებზე, კვლევის შედეგები წარმოადგენს საფუძველს შემდგომი კვლევებისთვის
2	დოქტორანტის წვლილი დარგის განვითარებაში მინიმალურია, შედეგები ძირითადად ადასტურებს არსებულ ცოდნას, ნაკლებად ხსნის ახალ შესაძლებლობებს დარგის განვითარებისთვის
1	დოქტორანტის წვლილი დარგის განვითარებაში ვერ იკვეთება, ნაშრომი არ ქმნის საფუძველს შემდგომი კვლევებისთვის, შედეგები არ ამდიდრებს დარგის სამეცნიერო ბაზას
----- (შერჩეული ქულა) × **4** (კოეფიციენტი) = _____ **(შეწონილი ქულა)**	

5. კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობების დასაბუთება (კოეფიციენტი: 2)

შესარჩევი ქულა	**აღწერა**
5	კვლევის შედეგებს აქვს მაღალი პრაქტიკული ღირებულება, დეტალურად არის დასაბუთებული მათი გამოყენების კონკრეტული მექანიზმები სამეცნიერო, საგანმანათლებლო, სოციალურ-ეკონომიკურ ან კულტურულ სფეროში. წარმოდგენილია კვლევის შედეგების გამოყენების მკაფიო პერსპექტივები, რეკომენდაციების სრული სისტემა და შესაძლო გავლენა დარგის ან საზოგადოების განვითარებაზე
4	კვლევის შედეგების პრაქტიკული ღირებულება კარგად არის დასაბუთებული, მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები შედეგების გამოყენებისთვის შესაბამის სფეროში. ნაჩვენებია კვლევის შედეგების გამოყენების პერსპექტივები და მათი პოტენციური წვლილი დარგის განვითარებაში
3	კვლევის შედეგების პრაქტიკული ღირებულება ზოგადად დასაბუთებულია, მოცემულია გარკვეული რეკომენდაციები, თუმცა მათი დანერგვის მექანიზმები არასრულად არის აღწერილი. პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები წარმოდგენილია, მაგრამ ნაკლებად კონკრეტულია
2	კვლევის შედეგების პრაქტიკული ღირებულება სუსტად არის დასაბუთებული, რეკომენდაციები ზოგადი და არაკონკრეტულია. ნაკლებად ჩანს კვლევის შედეგების რეალური გამოყენების პერსპექტივები შესაბამის დარგში ან სფეროში
1	კვლევის შედეგების პრაქტიკული ღირებულება არ არის დასაბუთებული ან არარელევანტურია. არ არის წარმოდგენილი რეკომენდაციები ან პერსპექტივები შედეგების გამოყენებისთვის. ვერ იკვეთება კავშირი კვლევასა და პრაქტიკას შორის
----- (შერჩეული ქულა) × **2** (კოეფიციენტი) = _____ **(შეწონილი ქულა)**	

ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის სადისერტაციო კომისიის წევრის შემაჯამებელი შეფასება

შეფასების კრიტერიუმი	**რუბრიკის ქულა (1-5)**	შეფასების მეთოდოლოგიით განსაზღვრული **კოეფიციენტი**	**შეწონილი ქულა**
1. საკვლევი თემის აქტუალურობა		3	
2. გამოყენებული კვლევის მეთოდების რელევანტურობა		5	
3. მეცნიერული სიახლე		6	
4. დოქტორანტის მიერ შეტანილი წვლილი		4	
5. პრაქტიკული გამოყენების დასაბუთება		2	
შემაჯამებელი შეფასება (ქულა, შეჯამება)			_____ / 100

,,ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასების ფორმების დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 02 დეკემბრის №01-02/217 ბრძანების

დანართი №2

ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის ინდივიდუალური შეფასების ფორმის ბსუ-ს სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ მიღების დადასტურების ფორმა

სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღი ”___” _____ _____ წ.
ბსუ-ს დოქტორანტის სახელი, გვარი - ----------
ბსუ-ს ფაკულტეტი ----------
ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ----------
დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ----------
დოქტორანტის სამეცნიერო თანახელმძღვანელი (არსებობის შემთხვევაში) ----------
სადისერტაციო ნაშრომის სათაური ----------
სადისერტაციო კომისიის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება (N -----, --/--/----წ)

#	**სადისერტაციო კომისიის წევრის სახელი, გვარი**	**სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის სხდომაზე დასწრების დადასტურება** (ხელმოწერა)	**ნაშრომის** ინდივიდუალური **შეფასების ფორმის მიღების დადასტურება** (ხელმოწერა)
1.			
2.			
3.			
4.			
5.			
6.			
7.			

სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე: (სახელი, გვარი და ხელმოწერა)

სადისერტაციო კომისიის მდივანი: (სახელი, გვარი და ხელმოწერა)

,,ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შეფასების ფორმების დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 02 დეკემბრის №01-02/217 ბრძანების

დანართი №3

ბსუ-ს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შემაჯამებელი შეფასების ოქმი

სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღი ”___” _____ _____ წ.

ბსუ-ს დოქტორანტის სახელი, გვარი - ----------

ბსუ-ს ფაკულტეტი ----------

ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ----------

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ----------

დოქტორანტის სამეცნიერო თანახელმძღვანელი (არსებობის შემთხვევაში) ----------

სადისერტაციო ნაშრომის სათაური ----------

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის მიერ არჩეულ **ხმის დამთვლელი კომისიის წევრებს** გამოჰყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას, შემდეგი სისტემის მიხედვით:	**ქულები:**
ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი	91-100 ქულა;
ძალიან კარგი (magn cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;	81-90 ქულა;
კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;	71-80 ქულა;
საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს	61-70 ქულა;
დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს	51-60 ქულა;
არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს:	41-50 ქულა;
სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.	40 ქულა და ნაკლები;
სადისერტაციო კომისიის მიერ არჩეული ხმის დამთვლელი კომისიის წევრების მიერ დათვლილი ქულათა საშუალო არითმეტიკული და საბოლოო შეფასება	
ხმის დამთვლელი კომისიის წევრების სახელი, გვარი და ხელმოწერები	
სახელი, გვარი	ხელმოწერა
სახელი, გვარი	ხელმოწერა
სახელი, გვარი	ხელმოწერა

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება	---------
სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასების მიხედვით დოქტორანტმა ---------- (<u>დაიცვა/ვერ დაიცვა</u>) სადისერტაციო ნაშრომი.	

ხელმოწერები:

სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე _____

სადისერტაციო კომისიის მდივანი _____